საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 16 ნოემბერი, 2016 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/13

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს ,,დ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,დ) დასაშვებია სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის ჯგუფური დაცვა. ამ შემთხვევაში სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ხარისხობრივად და რაოდენობრივად ერთნაირი ნამუშევარი. ნაშრომის შეფასება ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი კრიტერიუმებისა და მეთოდების მიხედვით".

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**